2. **იონკინს** პეტრე ათანასეს ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის ენერგეტიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, სამუშაოს ხელმძღვანელს, **კუხარკინს** ევგენი სტეფანეს ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორს, **მირონოვს** ვლადიმერ გიორგის ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **დარევსკის** ალექსანდრე იოსების ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სრულიად საკავშირო დაუსწრებელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილ დოცენტს, **მელნიკოვს** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, — 1976 წელს გამოქვეყნებული ორტომიანი სახელმძღვანელოსათვის „ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები“ (მე-2 გამოცემა).

3. **კისელევს** ვასილ ალექსანდრეს ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის საავტომობილო გზათა ინსტიტუტის კათედრის გამგეს, — 1976 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელოსათვის „სამშენებლო მექანიკა“ (მე-3 გამოცემა).

4. **სტაპანოვას** ელენე მიხეილის ასულს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ტრუშინას** ლუდმილა ბორისის ასულს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სექტორის გამგეს, **იევლევას** ზინაიდა ნიკოლოზის ასულს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, **კოსტომაროვს** ტიტალი გიორგის ძეს, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, — 1977 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელოსათვის „რუსული ენა ყველასათვის“ (მე-3 გამოცემა).

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ა. კოსიგინი.**

---

## სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

# სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებისათვის შრომაში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევების აღსანიშნავად 1979 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებმაც განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს წარდგინება, აღდგენენ 1979 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:**

1. **მაშჩენკოს** მიხეილ პეტრეს ძეს, „კრასნოიარსკჰესშენის“ № 1 სამმართველოს ძირითად ნაგებობათა სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **კუროჩკინს** ალექსანდრე ბენიამინის ძეს, „სვერდლოვსკენერგოს“ რაიონული ენერგეტიკული სამმართველოს შუახრილის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგობლოკების უფროს მემანქანეს, **საბირზიანოვს** ანას გალიმზიანის ძეს „ბაშკირენერგოს“ რაიონული ენერგეტიკული სამმართველოს კარმანოვკის საბჭოთა ბაშკირეთის 50-ე წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგობლოკების უფროს მემანქანეს, **ბაკულინას** ზინაიდა ვასილის ასულს, საწარმოო გაერთიანება „ელექტროიზოლატის“ მეგრაგნილთა ბრიგადირს, **ვერემეენკოს** ვლადიმერ ვასილის ძეს, როვნოს საბჭოთა უკრაინის 50-ე წლისთავის სახელობის მაღალი ძაბვის აპარატურის ქარხნის გამმართველს, **პოზუეევს** ევგენი მიხეილის ძეს, ლენინგრადის ნ. მ. შვერნიკის სახელობის ქარხანა „ელექტრიკის“ ამწყობ ზეინკალს, **ლობეევს** იგორ პავლეს ძეს, ხელსაწყოთა ქარხნის ელექტროშემდუღებელს, **ცალკოს** ბორის მარტინის ძეს, „ლენინგრადის ლითონის ქარხნის“ ტურბოშენებლობის საწარმოო გაერთიანების ხარატს, **ჩუჩკალოვას** ფაინა ალექსანდრეს ასულს, კუსის ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატს, **სტრიჟაკს** ვიქტორ პაველს ძეს, საწარმოო გაერთიანება „ნოვოკრამატორსკის“ მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატს, **ზაიცევს** ვასილ ალექსის ძეს, იუჟნო-ურალსკის მანქანათმშენებელი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **კონოვალოვს** ვლადიმერ გიორგის ძეს, საწარმოო გაერთიანება „ზვეზდას“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, — შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, მომიჯნავეთა კოლექტივების შემოქმედებითი თანამეგობრობის საფუძველზე ენერგეტიკისა და მძიმე მანქანათმშენებლობის დარგში მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის.

2. **დელიანს** აშოტ ბორისის ძეს, საწარმოო გაერთიანება „ვორკუტაქვანაშრირის“ სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის „სევერნაიას“ შახტის საწმენდი სანგრევის სამთო მუშათა ბრიგადირს, **კოროტეევს** ნიკოლოზ ივანეს ძეს, „ვოროშილოვგრადშახტმშენის“ კომბინატის № 6 შახტგაყვანილობა სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირს, **ყურნიკოვს** მიხეილ პაველს ძეს, საწარმოო გაერთიანება „ყარაგანდინსაშირის“ „სევერნაიას“ შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირს, **სმოლოვს** სერგი ილიას ძეს, საწარმოო გაერთიანება „უერდასავლეთქვანახშირის“ სკკპ XXV ყრილობის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის სამთო მუშათა ბრიგადირს, **ტიმჩენკოს** ვლადიმერ დიმიტრის ძეს, საწარმოო გაერთიანება „ტორეზანტრაციტის“ „ტორეზსკოეს“ შახტსამმართველოს საწმენდი სანგრევის სამთო მუშათა ბრიგადირს, **ტურაჩს** ვლადიმერ სერგის ძეს, საწარმოო გაერთიანება „ზვეზდასა“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, — შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, მომიჯნავეთა კოლექტივების შემოქმედებითი თანამეგობრობის საფუძველზე ენერგეტიკისა და მძიმე მანქანათმშენებლობის დარგში მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის.

3. **ბოლოვიჩეგს** ანატოლი ალექსის ძეს, პერვოუორალსკის ნოვომტრუბნის ქარხნის მვალცაეს, **კლეპიკოვს** იაგორ ანდრიას ძეს, ჩელიაბინსკის ელექტრომეტალურგიული კომბინატის უფროს მდინარეს, **კონდაკოვს** ვალერი ვასილის ძეს, „ამურფოლადის“ მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს, **მირონენკოს** ვალენტინ კარპეს ძეს, იუჟნის სკკპ XXV ყრილობის სახელობის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის ექსკავატორის მემანქანეს, **სამოკეშს** ლეონიდ მიხეილის ძეს, დონეცკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს, **ჩისტნიოვს** იური ალექსის ძეს, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის „კამამადნის“ კომბინატის მბურავს, **გუსევს** გრიგორ ივანეს ძეს, ლენინგრადის ფერადი ლითონების გადამუშავების საწარმოო გაერთიანება „კრასნი ვიბორჟეცის“ მწნეხავს, **ნედოეკინს** პეტრე ალექსის ძეს, ხრუსტალნის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის ვვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირს, **ნიკიტინს** სამონ პეტრეს ძეს, ბაშკირეთის სპილენძ-გოგირდის კომბინატის ავტომობილების მძღოლთა ბრიგადირს, **პოპოვს** ვლადიმერ პაველს ძეს, აჩის პოლიფოსფორიტის კომბინატის საწმენდი სანგრევის სამთო მუშათა ბრიგადირს, **მაგნიცკაიას** ანა დიმიტრის ასულს, ვლადიმირის ქიმიური ქარხნის ექსტრუდერის მემანქანეს, **პოსეეონს** ანატოლი ვასილის ძეს, ნოვომოსკოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მთავარ ოპერატორს, — შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, შინაგანი რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების საფუძველზე მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის.

4. **პეჩნიკოვას** ანა პაველს ასულს, მარეგულირებელს, **სმორნოვს** ვალენტინ სერგის ძეს, ხარატს, მოსკოვის ავტოსატრანსპორტო ელექტრომოწყობილობის ქარხნის მუშაკებს, **შაშკოს** გიორგი იოსების ძეს, საწარმოო გაერთიანება „მინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ მეფოლადეს, **მიხაილოვას** დინა თევდორეს ასულს, საწარმოო გაერთიანება „როსტსოფლმანქანის“ მხეხავს, **მარტინოვს** გენადი ალექსანდრეს ძეს, კუიბიშევის საწარმოო გაერთიანება „მასლენიკოვის სახელობის ქარხნის“ გამმართველს, **პიაკოვს** ვიქტორ მიხეილის ძეს, საწარმოო გაერთიანება „სიზრანსოფლმანქანის“ ხარატს, **პეროვს** მიხეილ მიხეილის ძეს, ლიუბერცის უხტომსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მღარავს, **პოპოვს** ნიკოლოზ თევდორეს ძეს, ვორონეჟის კომინტერნის სახელობის ექსკავატორების საწარმოო გაერთიანების ხარატს, **ლეპაკოვს** ნიკოლოზ ივანეს ძეს, სვერდლოვსკის საწარმოო გაერთიანება „პნევმომშენმანქანის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **ჯამბულატოვს** ჯამბულატ მაგომედის ძეს, მანქანათსაშენებელი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **პანოვს** კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ ამწყობთა ბრიგადირს, **აფონინს** ალექსანდრე იაგორის ძეს, პირველი სახელმწიფო საკისრების ქარხნის (საწარმოო გაერთიანება „სსქ-1“) მეკედელ-მტვიფრავს, — საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე მანქანათსაშენებელ წარმოებაში შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

5. **რიბაკოვს** ივანე ვასილის ძეს, ბალახიშის ოქტომბრის მე-40 წლისთავის სახელობის კრიოგენული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ხარატთა ბრიგადირს, **მიხეევს** ალექსი კირილეს ძეს, ხარატს, **ვესელოვას** კლავდია ტიხონის ასულს, მოებავთა ბრიგადირს, **როზდესტვენსკის** სერგი ნიკოლოზის ძეს, ხარატთა ბრიგადირს, დოლგოპრუდნის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშაკებს, **დიდუკს** ბორის პაველს ძეს, „ჩრდილოეთ მიწისადენმშენის“ ტრესტის № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შემდოებელ-მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირს, **კილდიუშოვს** იური ივანეს ძეს, გაერთიანება „ციმბირკომპლექტმონტაჟის“ № 1 კომკავშირულ-სახელგაზრდული სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირს, **სიომინს** მიხეილ გიორგოლის ძეს, „ციმბირაგადემმშენის“ სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მშენებლობის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს, **ხოდირევს** ვიქტორ მიხეილის ძეს, ქიმიური კომბინატის უფროს მეავარატეს, **პეტუს** ლეოპოლდ ოსკარის ძეს, ვოლგის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საბურავების ქარხნის ამწყობს, **ერიომინს** ვლადიმერ თევდორეს ძეს, ხარატს, **გლუშჩენკოს** იგორ გრიგოლის ძეს, მეყალიბეთა ბრიგადირს, . საწარმოო გაერთიანების მუშაკებს, **გლადკოვს** ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს, ყურგანის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატს, — შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების სრულყოფის საფუძველზე მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას.

6. **კუიანს** ლუდმილა ივანეს ასულს, დნეპროვსკის მანქანათსაშენებელი ქარხნის მემონტაჟეს, **შალაევს** ევგენი ანდრიას ძეს, ელექტრომექანიკური ქარხნის ზეინკალს, **ნოვოსიოლოვს** ვიქტორ ნიკოლოზის ძეს, **დოლგიხს** ლეონიდ პეტრეს ძეს, ლიტკარის ოპტიკური მინის ქარხნის მინის მხარშავთა ბრიგადირებს, **ლოგუნცოვს** ვასილ ივანეს ძეს, **ერმოლაევს** ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეს, მანქანათსაშენებელი ქარხნის შემკეთებელ ზეინკალთა ბრიგადირებს, **სკვორცოვს** იგორ ვასილის ძეს, ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პოზიტრონის“ საამქროს უფროსს, **სუხოვაიას** თამარ ნიკოლოზის ასულს, მოსკოვის მეორე საათის ქარხნის ამწყობს, **ხატკევიჩს** მიხეილ ვასილის ძეს, ორიოლის საწარმოო გაერთიანება „მრეწველსაწყოს“ გამმართველს, **კარაბანენკოს** იური სიმონის ძეს, ტირასპოლის ს. მ. კიროვის სახელობის სამსხმელო მანქანათა ქარხნის მომნიშვნელს, **პოპოვს** ვასილ სიმონის ძეს, ვორონეჟის მ. ი. კალინინის სახელობის სამეჯედლო-საწნეხი მოწყობილობის საწარმოო გაერთიანების შიგმჭარხავ ხარატს, **ისაევს** ალექსი პეტრეს ძეს, დონის როსტოვის მანქანათსაშენებელი ქარხნის ტბილმჭრელს, — თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის, წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საფუძველზე მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

7. **ბულდაკოვს** ევგენი თევდორეს ძეს, სრულიად საკავშირო სატყეო მრეწველობის გაერთიანება „კომიტყემრეწვის“ უხტის ხე-ტყის დასამზადებელი საწარმოო გაერთიანება „უხტატყის“ ოპერატორს, **ვატრასოვს** ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს, სრულიად საკავშირო ხე-ტყის მრეწველობის გაერთიანება „ტიუმენტყემრეწვის“ კომსომოლსკის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის ხე-ტყის დამამზადებელი ბრიგადის ბრიგადირს, **დეკუნს** ივანე პაველის ძეს, ტყის მჭრელს, **პოლეკეევს** პეტრე ფედორის ძეს, ტრაქტორისტს, სრულიად საკავშირო ხე-ტყის მრეწველობის გაერთიანება „კარელტყემრეწვის“ ნადვოიცკის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის მუშაკებს, **სმეტანინას** ალექსანდრა ივანეს ასულს, ივანოვოს ავეჯის საწარმოო გაერთიანება „ივანოვავეჯის“ მომპრკეთებელთა ბრიგადირს, **სიოროკინს** დიმიტრი მიხეილის ძეს, გორკის სატყეო მეურნეობის სამმართველოს ვეტლუგაუნჟენსკის მექანიზებული სატყეო მეურნეობის მემანქანეს, **ვლასოვს** პეტრე იონას ძეს, სიკტივკარის ლენინური კომკავშირის სახელობის ხე-ტყის მრეწველობის კომბინატის მუყაოს მანქანის მემანქანეს, **მატვეევს** ალექსანდრე ივანეს ძეს, კოტლასის კომკავშირის 50-ე წლისთავის სახელობის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ცელულოზის მხარშავს, **იმომალიევს** ტაჯიდინს, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს გეოლოგიის სამმართველოს ყარაყუმის გეოლოგიური სადაზვერვო ექსპედიციის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირს, **ხალინს** ალექსანდრე ანდრიას ძეს, მთავარტიუმენგაზოლოგიის გაერთიანება „მეგიონნავთობგაზგეოლოგიის“ ავანსკის ნავთობსადაზვერვო ექსპედიციის მბურავი ოსტატს, **გუსეინოვს** გუსეინ იუსიფ ოღლის, სრულიად საკავშირო სამრეწველო გაერთიანება „ასპეის ზღვის — ნავთობგაზმრეწვის“ „არტემნავთობგაზის“ ნავთობგაზმომპოვებელი სამმართველოს ბურღვითი ოსტატი, **ბაუშერს** სვეტლანა ალექსანდრეს ასულს, ბენდერის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის ზეთის საექსტრაქტაციო ქარხნის რაფინორს, **კოზლოვსკის** სტანისლავ ივანეს ძეს, მანუელსკის სახელობის სტაროკონსტანტინოვსკის შაქრის კომბინატის მეაპარატეს, **კრუზინას** თამარ ნიკოლოზის ასულს, კურსკის საწარმოო გაერთიანება „ქიმიური ბოჭკოს“ ოპერატორს, **ალექსანდროვას** ევგენია პაველს ასულს, ლენინგრადის საწარმოო გაერთიანება „წითელი სამკუთხედის“ ინსტრუქტორ გამმართველს, — თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

9. **გორბაჩოვს** ვიქტორ დიმიტრის ძეს, სარატოვის სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **დიომინს** ივანე პაველის ძეს, მთავარმოსკოვმშენის № 3 სახლთსაშენებელი კომბინატის № 6 სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **ძიძიგურს** თანდიკო სანდროს ძეს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის № 12 მოძრავი მექანიზებული კოლონის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **კრენიოვს** ათანასე სიმონის ძეს, სვერდლოვსკის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ტრესტის № 240 მოძრავი მექანიზებული კოლონის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **მაკაროვს** ივანე ივანეს ძეს, „ლიპეცკმშენის“ ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **მინასიანს** გარნიკ ხაჩატურის ძეს, სომხეთის სსრ სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს „ერევანმრეწვმშენის“ ტრესტის № 31 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **ტიტოვს** ნინო ფილიპეს ასულს, სრულიად საკავშირო ალკკ 50-ე წლისთავის სახელობის „ამურსკმშენის“ სამშენებლო ტრესტის სამუშაოთა უფროსს, № 858 სამმართველოს მეებავთა ბრიგადირს, **უშაკოვს** ვიქტორ ალექსის ძეს, პენზის მშენებლობის ტერიტორიული სამმართველოს „ბინმშენის“ ტრესტის № 11 სამშენებლო სამმართველოს კალატოზთა ბრიგადირს, **ხაირულინს** გარიფულა ხაირულის ძეს, „ყაზანმრეწვმშენის“ ტრესტის № 33 მოძრავი მექანიზებული კოლონის კალატოზთა ბრიგადირს, **ხომინოკს** ნიკოლოზ ივანეს ძეს, „ირკუტსკბინმშენის“ ტრესტის № 4 საერთო სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **შჩეკალევს** იური გრიგოლის ძეს, სვერდლოვსკის მეორე სამშენებლო-სამონტაჟო სპეციალიზებული სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირს, **იარუშნიკოვს** ნინო ივანეს ასულს, „სვერდლოვსკსამოქალაქო ქომშენის“ ტრესტის № 26 სამშენებლო სამმართველოს მეშალეებთა ბრიგადირს, — მუშაობა ნაკლები რიცხვით მშენებლობათა მოცულობის შესრულების საფუძველზე მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევებისათვის.

10. **აბრამოვს** ივანე ივანეს ძეს, ვლადიმირის რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის მეარმატურეთა ბრიგადირს, **ვორონკოვს** ანატოლი ალექსის ძეს, ომსკის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მუყაოს საკეთებელი მანქანის მემანქანეს, **გოლოვინას** ანა კონსტანტინეს ასულს, სადრენაჟო მილების „ლოდეს“ ქარხნის ჩამტვირთავს, **გრუბოვს** მიხეილ ივანეს ძეს, მექანიკური ქარხნის ხარატს, **კოზლოვს** ნიკოლოზ ალექსის ძეს, შჩეკინოს რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხნის მეყალიბეთა ბრიგადირს, **კონდრატიუკს** ევგენი ტიმოთეს ძეს, მთავარმოსკოვმრეწვმშენმანქანის № 9 ხის დამამუშავებელი კომბინატის მომპირკეთებელთა ბრიგადის, **კურგანოვს** ანატოლი მიხეილის ძეს, მთავარდასვლეთციმენტის საწარმოო გაერთიანება „მიხაილოვცემენტის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანეს, **ლისიუტინს** თევდორე იაკობის ძეს, „კრასნოიარსკის აზბესტცემენტის ნაწარმის კომბინატის ფურცელსაყალიბებელი მანქანის მემანქანეს, **მოხოვას** მარიამ ნიკოლოზის ასულს, ლობნიის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის სამშენებლო ფაიფურის ქარხნის „კრამიკული ნაწარმის ჩამომსხმელს, **პანიუშკინს** ნიკოლოზ ევგენის ძეს, „სამონტაჟმსუბუქმანქანის“ ტრესტის დედოვსკის სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირს, **სულეიმანოვს** ანატოლი სავლეს ძეს, მთავარკრასნოიარსკმშენის რკინა-ბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების კომბინატის მეყალიბეთა ბრიგადირს, **ჩეპურხინს** ნიკოლოზ ივანეს ძეს, „პეტრორმშენის“ სამმართველოს № 234 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ლიანდაგის მონტიორთა ბრიგადირს, — შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში მოწინავე საწარმოო გამოცდილების ფართო გამოყენების საფუძველზე მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის.

11. **ბატალოვს** ბორის დიმიტრის ძეს, იუჟნო-ურალსკის რკინიგზის სამმართველოს გასაყოფილების უფროსის ცვლის მოადგილეს, **იუხნევიჩს** პეტრე გრიგოლის ძეს, ბელორუსიის რკინიგზის მოლოდეჩნის სვეგორნო დეპოს ვაგონების შემმოწმებელს, **უსოვს** ბორის პეტრეს ძეს, გორკის რკინიგზის ძერჟინსკის სალოანდაგო დისტანციის გზის ოსტატს, **მალცევს** გენადი სტეფანეს ძეს, კომის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უხტის გაერთიანებული საავიაციო რაზმის ვერტმფრინავის მეთაურს, **გურაჟიის** მაქსიმე მაქსიმეს ძეს, უკრაინის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ოდესის მეორე გაერთიანებული საავიაციო რაზმის თვითმფრინავის მეთაურს, **ცხოვრებო

# კანონის სახელით

(დასასრული)

გამომძიებლად, საგამოძიებო ჯგუფ-განყოფილების უფროსად, თბილისის, სამტრედიის, რუსთავის შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის წლები და მასთან ერთად შეძენილი დიდი პროფესიონალიზმი, დამწაფავობასთან, ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან შეურიგებელ ბრძოლაში დაოსტატება.

და დღეს ოდნავ მაინც თუ შესაძლებელია გამომძიებლის შრომის შედეგების ციფრებით გამოხატვა, ვიტყვით, რომ მილიციის პოლკოვნიკმა ი. სარალაძემ მარტო ამ უკანასკნელ წლებში პირადად გამოიძია ღრმად შენიღბულ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დამტაცებელთა მრავალი სისხლის სამართლის საქმე, ბრალდება დაუდასტურა ათობით დამნაშავეს, რომლებმაც სახელმწიფოს 2.550 ათასი მანეთი აზარალეს.

ციფრები იოლი სათქმელია, მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, ერთი კაციასათვის რაოდენ დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა, სიმართლის ძიებაში უძილოდ გატეხილი რამდენი ღამე და დახარჯული ენერგია იმალება მათ უკან.

ჯანსაღ, ძლიერ ფესვებზე ყლორტიც ღონიერი იზრდება. ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ი. სარალიძის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად განყოფილებაში შექმნილი ურთიერთობა, შეძენილი გამოცდილება ის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა, რომელზეც არაერთი ნიჭიერი, ღრმად დაკვირვებული და თავისი საქმის ჩინებული მცოდნე გამომძიებელი აღიზრდა.

ერთ-ერთი მათგანი — მილიციის კაპიტანი რეზო გოგელია, ამჟამად პირველი ქვეგანყოფილების უფროსი ი. სარალიძის კაბინეტში გავიცანი, როცა ისინი მცხეთის გზაზე მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების მიმდინარეობაზე მსჯელობდნენ, ამ საქმეზე გაპიროვნებული გამომძიებლის მიერ გაწეულ შრომას, მოკვლეულ მასალებს აფასებდნენ. დანაშაული კი ერთობ ძნიმე იყო.

...მანქანით მიმავალ „სპეციმონტაჟმშენის“ სამმართველოს მოლარეს, რომელსაც მუშებისათვის ხელფასის დასარიგებლად 335 ათასი მანეთი მიჰქონდა, თავს დაესხნენ და თანხა გაიტაცეს. ამ საქმის გამოძიება, ბოროტმოქმედთა დადგენა ახალბედა მუშაკს გ. ყაჯრიშვილს მიანდვეს. იგი განყოფილების გამომძიებელთა შორის მესამე თაობის წარმომადგენელია, სულ ორიოდე თვეა, რაც უნივერსიტეტის აუდიტორიიდან აქ სამუშაოდ მოვიდა და, ბუნებრივია, მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები არც ისე იოლი იქნებოდა. მაგრამ მას მხარში ამოუდგნენ გამოცდილი უფროსი კოლეგები, ეხმარებიან, ურჩევენ. ჭეშმარიტების დადგენის სწორ გზაზე აყენებენ.

— სხვანაირად არც შეიძლება, — გვითხრა რ. გოგელიამ, — საგამოძიებო პრაქტიკაში ადამიანისათვის ბრალდების წაყენებისას შეცდომა ისევე შეუწყნარებელია, როგორც .მედიცინაში, ქირურგიული ოპერაციის დროს.

სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა თითქმის ყველა სერიოზული საქმე ჩვენი ქვეგანყოფილების მუშაკთა წილად მოდის, მათი უმრავლესობა, ჯაუფური ხასიათისაა და ზოგჯერ დამნაშავეთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს. ამიტომ გამომძიებელმა თითოეულის ცოდვა-ბრალი მისხალ-მისხალ უნდა აწონოს, დააზუსტოს, განსაზღვროს, მოკვლეული მასალა გულდასმით გააანალიზოს, ვინაიდან იურისპრუდენციაში არსებობს დაუწერელი კანონი—მცირე სასჯელი უნდა მიეცეს მცირე დანაშაულისათვის და არა დანაშაულის გარემოებებში ნაკლებად ჩაწვდომისათვის, მით უფრო მაშინ, როცა კანონს სახელით მოკმედებ.

განყოფილების მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობაში ამ პრინციპის განუხრელი დაცვის შედეგია, რომ მიმდინარე წელს გამოძიებული მრავალი სისხლის სამართლის საქმედან არც ერთი უკან არ დაბრუნებულა დამატებითი ძიებისათვის .

გამომძიებლის პროფესიონალიზმი სიყვარული ბევრ ახალგაზრდა იურისტს ი. სარალიძის პირადმა მაგალითმა ჩაუნერგა და რა გასაკვირია, რომ ამ „ცდუნებას“ ვერც მისმა ვაჟიშვილმა ვიქტორმა დაალწია თავი. იგი ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტია, მაგრამ უკვე საზოგადოებრივ საწყისებზე გამომძიებლის თანაშემწედ მუშაობს, და გადაწყვეტილი აქვს მამის კვალს გაჰყვეს, თუნდაც ნაწილობრივ მაინც გაიმეოროს მილიციის პოლკოვნიკის ი. სარალიძის მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის ბრძოლაში გაღებული ის დიდი წვლილი, რისთვისაც იგი ამ დღეებში „შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა.

გარკვეულწილად ი. სარალიძის, როგორც ახალგაზრდა გამომძიებლების გულისხმიერი დამრიგებლისა და ხელმძღვანელის, ღვაწლის აღიარებაც არის, რომ საბჭოთა მილიციის დღესთან დაკავშირებით მის აღზრდილს რ. გოგელიას მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელი გადაეცა.

ჩვენი ქვეყნის პირველი ჩეკისტი ფ. ძერჟინსკი ამბობდა, ჩემი ძალა ის არის, რომ ძალას არ ვხმაგავო. და როცა რესპუბლიკურ საგამოძიებო სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების მუშაობას ეცნობი, რწმუნდები, რომ ამის თქმა თამამად შეუძლიათ მის მუშაკებს, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნას, ძალასა და ენერგიას ახმარენ ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მართლწესრიგის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას.

**გ. სამსონაძე.**


საერთაშორისო ცხოვრება

**ლენინგრადის ჟურნალი**


# ქვეყნად მშვიდობისათვის!

## მაღალ შეფასებას აძლევენ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის პასუხს გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე

**გვეტყობინებენ საქმეშისა და ახალი ამბების საქართველოს კორესპონდენტები**

**საზღვარგარეთ უდიდესი ყურადღებით აღიქვეს ხალხ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე. პრესა, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი მას მიიჩნევენ დიდმნიშვნელოვან წვლილად ბერლინში წამოყენებული საბჭოთა საშვიდობო წინადადებების განვითარებაში, იმის მკაფიო დადასტურებად, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები ისწრაფვიან თავიდან აიცილონ ევროპის ხალხებსა და მთელ კაცობრიობას გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერება.**

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელიც განუხრელად ატარებს მშვიდობის პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა დარგში, წერს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი **„ნოიეს დოიჩლანდი“**. დებულებები, რომლებსაც შეიცავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტისადმი, პირწმინდად აქარწყლებს იმ ფლიდური მტკიცებებს „გარეთ წოდებული „აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხის“ შესახებ, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების ახალი ტვირთი აჩქიდონ დასავლეთის ფართო მასებს.

საერთაშორისო ვითარება ახლა ისეთია, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის **„რუდე პრავო“**, რომ იგი მოითხოვს არა ზოგად ლაპარაკს მშვიდობისა და განიარაღების შესახებ, არამედ რეალურ ნაბიჯებს გამალებული შეიარაღების ალაგშვის, ხალხთა, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების გზაზე, სწორედ ისეთ ნაბიჯებს, როგორსაც საბჭოთა კავშირი დგამს.

საბჭოთა ხელმძღვანელი გვთავაზობს დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკება საშუალო რადიუსის მოქმედების ბირთვული რაკეტების თაობაზე, წერს დასავლეთგერმანული **„რაინიშე პოსტი“**. გაზეთ „პრავდისადმი“ ინტერვიუში ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ ნაჩქარევმა მოქმედებამ შეიძლება მხოლოდ გაართულოს ვითარება, ხელი შეუშალოს დადებითი შედეგების მიღწევას. ასეთი შედეგების მიღწევის მეტი შანსი გვექნება, თუ მოლაპარაკების დამთავრებამდე არ მივიღებთ არავითარ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საშუალებათა წარმოებისა და დასავლეთ ევროპაში განლაგების შესახებ, დასძენს გაზეთი.

უპასუხა რა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვას, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა გაფრთხილა ნატოელი ლიტარეგები არ მიიღონ ნაჩქარევი და წინდაუხედავი გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში ახალ სახეობათა საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა განლაგების შესახებ, და მოუწოდა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოლაპარაკებას ამ იარაღის თაობაზე, აღნიშნავს ფინური **„სუომენ სოსიალიდემოკრაატი“**.

# ევროპის ტურნირები

**ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩებიდან განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა შეხვედრა მადრიდში, სადაც ადგილობრივმა „რეალმა“ გაჭირვებით სძლია პორტუგალიის „პორტო“ — 1:0. ესპანელებს პირველი თამაში სტუმრად წაგებული ჰქონდა ანგარიშით — 1:2. ასევე მძიმე ბრძოლა გადახდა შოტლანდიის „სელტიკს“ ირლანდიაში „დანდალკთან“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0 (პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა „სელტიკმა“ — 3:2).

ჰოლანდიის „აიაქსი“, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად დამარცხდა კვიპროსის „ომონიასთან“ — 0:4, საბოლოო ჯამში მაინც გამარჯვებული გამოვიდა, რადგან პირველი მატჩი 10:0-ზე ჰქონდა მოგებული. გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „ნოტინჰემ ფორესტმა“, რომელმაც მოუგო რუმინეთის „არჯეს“ — 2:1.

გამოვლინდა მეოთხედფინალში მოასპარეზე ყველა გუნდი. „ბაბურგის“, „აიაქსის“, „ნოტინჰემ ფორესტის“, „ხელტიკისა“ და „რეალის“ გარდა ბრძოლას განგრძობენ იუგოსლავიის „ჰაიდუკი“ გდრ-ის „დინამო“ და საფრანგეთის „სტრასბურგი“.

სხვა ტურნირებში, როგორც ვიცით, წარმატებით იასპარეზეს კიევის „დინამომ“ და მოსკოვის „დინამომ“. პირველმა შინ ანგარიშით — 2:0 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი“, ხოლო მეორემ ლისაბონში ფრედ — 1:1 ითამაშა პორტუგალიის „ბოავისტამთან“. ორივე საბჭოთა გუნდი გათამაშების შემდგომ ეტაპში გავიდა. **ახლა კიევის „დინამო“ მეოთხედფინალში იასპარეზებს სოფიის „ლოკომოტივთან“.**

სხვა მატჩებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო უეფას ტურნირში საფრანგეთის „სენტ-ეტიენის“ შეხვედრა ჰოლანდიის ძლიერ გუნდთან „ეინდჰოვენთან“. ფრანგებმა სტუმრად დამარცხებისათვის (0:2) დამაჯერებელი რეგანში აიღეს — 6:0.

# ოცდამეთორმეტე ტური

**8,9 და 10 ნოემბერს** გაიმართა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ჩემპიონატის 32-ე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ მათ შედეგებს: „ლოკომოტივი“-„არარატი“ — 2:1, (ცსკა-„ზარია“ — 3:0, „ზენიტი“-„ზარია“ — 1:2, „კრილია სოვეტოვი“-„ყაზარათი“ — 2:1, „სპარტაკი“-„შახტიორი“, 3:1.

დღეს გაიმართება ამ ტურის სამი შეხვედრა: „დინამო“ (კ) — „ფახთაქორი“, „დინამო“ (მ) — „ნეფთჩი“ და „დინამო“ (მნ) — „დინამო“ (თბ). ამ მატჩის მეორე ნახევრის რადიორეპორტაჟს მოიმესმენთ საქართველოს რადიოთი 21 საათზე. ხვალ ერთმანეთს ხვდებიან „ტორპედო“ და ასკ.

# „ტორპედოს“ გამარჯვება

**ქუთაისის** „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა I ლიგის ჩემპიონატის 45-ე ტურის მატჩში უმასპინძლეს პერმის „ზვეზდას“ და გამიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს მე-13 წუთზე (11-მეტრიანით) ოქროპირაშვილმა და 82-ე წუთზე — ბურკაძეს.

**ამავე** ტურმა გამოავლინა მომავალი წლიდან უმაღლეს ლიგაში მონაწილე მეორე გუნდიც. **ლვოვის „კარპატთან“** ერთად ეს საპატიო უფლება მოიპოვა **კრასნოდარის „ყუბანმა“**, რომელმაც სახლში მოუგო „მეტალისტს“ — 3:0.

## ამ დღეთა სიახლენი

**უპანასკნელ ხანს თბილისს ახალი მიწისქვეშა გადასასვლელები შეემატა. სურათებზე:** მიწისქვეშა გადასასვლელი ლენინის და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე ფილარმონიის დარბაზთან.

ს. კილაძის ფოტო.

# ბრძოლა მწვავდება

**ესპანეთის** ქალაქ ალიკანტეში, სადაც გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მეორე საზონთაშორისო ტურნირი, შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური რჩება.

მე-15 ტურში ნინო გურიელმა ყაიმით დაამთავრა პარტია უნგრელ ივანკასთან, ხოლო გუშინ თანაბარ პოზიციაში გადადებული პარტიას ამთავრებდა ბაუმბტარკიანთან (რუმინეთი). ნინომ უფრო ადრე გამარჯვებას მიაღწია იუგოსლავ პროკოპოვიჩთან გადადებულ შეხვედრაში.

**15 ტურის შემდეგ მოჭადრაკეთა საუნარნირო მდგომარეობა ასეთია: წინ არის ტ. ლემაჩკო (ბულგარეთი) — 12 ქულა. ე. ახმილოვსკაიას 11 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ნ. გურიელს 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ლიტნაკიას — 10,5.**

დარჩენილ ორ ტურში გურიელი ხვდება ლემაჩკოსა და გარსიას (კუბა), ლემაჩკოს თავის მხრივ სათამაშო აქვს კიდევ ახმილოვსკაიასთან, ახმილოვსკაია შეხვდება აგრეთვე ივანკას, ლიტნესკაია კი უნდა შეხვდეს ივანკასა და პროკოპოვიჩს.

ასე რომ, პრეტენდენტთა სამივე საგზურისათვის ბრძოლა ფინიშზე კიდევ უფრო მწვავდება.

# ჟურნალი

ჭადრაკი

# ბრძოლა მწვავდება

**ესპანეთის** ქალაქ ალიკანტეში, სადაც გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მეორე საზონთაშორისო ტურნირი, შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური რჩება.

მე-15 ტურში ნინო გურიელმა ყაიმით დაამთავრა პარტია უნგრელ ივანკასთან, ხოლო გუშინ თანაბარ პოზიციაში გადადებულ პარტიას ამთავრებდა ბაუმბტარკიანთან (რუმინეთი). ნინომ უფრო ადრე გამარჯვებას მიაღწია იუგოსლავ პროკოპოვიჩთან გადადებულ შეხვედრაში.

**15 ტურის შემდეგ მოჭადრაკეთა საუნარნირო მდგომარეობა ასეთია: წინ არის ტ. ლემაჩკო (ბულგარეთი) — 12 ქულა. ე. ახმილოვსკაიას 11 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ნ. გურიელს 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ლიტნაკიას — 10,5.**

დარჩენილ ორ ტურში გურიელი ხვდება ლემაჩკოსა და გარსიას (კუბა), ლემაჩკოს თავის მხრივ სათამაშო აქვს კიდევ ახმილოვსკაიასთან, ახმილოვსკაია შეხვდება აგრეთვე ივანკას, ლიტნესკაია კი უნდა შეხვდეს ივანკასა და პროკოპოვიჩს.

ასე რომ, პრეტენდენტთა სამივე საგზურისათვის ბრძოლა ფინიშზე კიდევ უფრო მწვავდება.

# ჟ. ტყაბლაძე

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1943 წლიდან სკკპ წევრი კონსტანტინე ესტატეს ძე **ტყაბლაძე.**

იგი დაიბადა 1910 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ყუმისთავში. 1936 წელს დამთავრა ქუთაისის ულუჯიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ამავე დროს მუშაობდა საშუალო სკოლის დირექტორად, შემდეგ — ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტში განყოფილების გამგედ.

1939 წელს კ. ტყაბლაძე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. 1940 წელს იგი ამთავრებს ქ. სარატოვში სამხედრო სკოლას და ინიშნება უმცროს მეთაურად. იგი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მისი მონაწილეა და მეთაურობს ტანკსაწინააღმდეგო ოცეულს.

1943 წელს კ. ტყაბლაძე მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენით დაჯილდოვდა. 1943 წლის ბოლოს კი მდინარე დნეპრის გადალახვისა და მის გარშემო პლაცდარმის შექმნისათვის მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დემობილიზაციის შემდეგ კ. ტყაბლაძე კვლავ ქუთაისშია და მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კ. ტყაბლაძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და მედლებით.

კეთილსინდისიერი, უნარიანი მუშაკისა და პრინციპული კომუნისტის კ. ტყაბლაძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

**საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექცია.**

**გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 12 ნოემბერს.**


**რედაქტორი**

**გ. ბედინეიშვილი.**


# პროვოკაციული მოქმედება

**ჰავანა,** ყურის შესასვლელთან, ნაპირთან დგას ამერიკის საესკადრო ნაღმსწმენდის ჯგუფი — ვერტმფრინავმზიდი „სგ.—60 სარატოგა“, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავები გამაყრუებელი ხმაურით დაფრინავენ ჰაერში, — ასე გამოიყურება ამ დღეებში ამერიკის გუანტანამოს სამხედრო ბაზა. იგი მდებარეობს კუბის ტერიტორიაზე, რომელსაც ოკუპაციი უყო შეერთებულმა შტატებმა კუბელი ხალხის ნების წინააღმდეგ.

ამერიკის მხედრიონი ბაზის ტერიტორიაზე მართავს პროვოკაციულ სამხედრო მანევრებს, რომელშიც მონაწილეობენ საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები, საბრძოლო ხომალდები და სხვა სამხედრო ტექნიკა. კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების სასაზღვრო ბრიგადის სათვალთვალო პუნქტიდან კარგად მოჩანს ვერტმფრინავები, რომლებიც ყოველ წუთს აფრინდებიან ხოლმე გემბანიდან. ბაზის პოლიგონებზე აფეთქებების კვამლია, ისმის ტყვიამფრქვევთა კაკანი.

## „სახიფათო შეცდომა“

**ვაშინგტონი,** 10 ნოემბერი. ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო დაცვის სარდლობის შტაბ-ბინის კომპიუტერის გამოცდის დროს კოლორადოს შტატში ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მთელმა რიგმა საკომანდო ცენტრებმა მიიღეს განგაშის სიგნალი, რომელიც იუწყებოდა „ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმას“. ორეგონის, მიჩიგანისა და ბრიტანეთის კოლუმბიის ბაზებიდან დაუყოვნებლივ აფრინდა 10 ამერიკული და კანადური დამჭერი თვითმფრინავი, რომლებიც „შემოჭრილი ბომბდამშენების“ ძებნას შეუდგნენ.

მხოლოდ ექვსი წუთის შემდეგ მიხვდა საჰაერო დაცვის სარდლობა, რომ შეცდომა მოუვიდა და არავითარი თავდასხმა არ ყოფილა. როგორც მოგვიანებით განმარტა პენტაგონმა, განგაში მცდარი გამოდგა და იგი გამოიწვია ადრეული გაფრთხილების სისტემის კომპიუტერის „მექანიკურმა უწესივრობამ“.

ძალიანაც ეცადა პენტაგონის წარმომადგენელი, მაგრამ კორესპონდენტებმა არ დაუჯერეს. იუწყება რა ამ ინციდენტის შესახებ, პრესა აღნიშნავს, რომ ამგვარ „შეცდომას“ შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოჰყვეს. ძნელია წარმოიდგინო ასეთ შემთხვევაში რა შედეგი მოჰყვება „კომპიუტერის“ შეცდომას მთელი მსოფლიოსათვის.

## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება

**ვაშინგტონი,** 10 ნოემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა „ღრმა კმაყოფილება“ გამოთქვა კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში კენჭის ყრის შედეგების გამო, სადაც მოიწონეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და ურჩიეს სენატს რატიფიკაცია უყოს ამ ხელშეკრულებას. პრესისათვის განკუთვნილ განცხადებაში, რომელიც თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა, გამოთქმულია იმედი, რომ ყველა სენატორი, რომლებმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ დოკუმენტის რატიფიკაციის შესახებ, ხელშეკრულებას ისევე გულდასმით შეისწავლის, როგორც ეს საგარეო საქმეთა კომისიამ გააკეთა. „ჩვენ გვჯერა, ასეთი შესწავლის შემდეგ სენატორები იმ დასკვნამდე მივალენ, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების მე-2 ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება, და ხმას მისცემენ ხელშეკრულების რატიფიკაციას“, — ნათქვამია განცხადებაში.

# ვითარება ირანში

**თეირანი,** 10 ნოემბერი. კვლავ ირანელ სტუდენტთა ხელშია ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩო, სადაც მძევლებად გამომწყვდეული ჰყავთ ამერიკელი მოქალაქენი. ირანის რადიომ გამოაქვეყნა სტუდენტთა მიმართვა, რომელთაც ამერიკელ ხალხს მოუწოდებენ მხარი დაუჭიროს ირანის ხალხის მოთხოვნას, რომ გადასცენ აშაჰამად შეერთებულ შტატებში მყოფი დამხობილი შაჰი.

**ვაშინგტონი,** 10 ნოემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დესპანი რ. კლარკი, რომელიც თეირანში აფრინეს, კვლავ სტამბოლში იმყოფება იმის გამო, რომ ირანის ხელისუფალნი არ თანხმდებიან მოლაპარაკების დაწყებას, სანამ არ შეუსრულებენ ძირითად მოთხოვნას შაჰის დაგადაცემის შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა თქვა, რომ რ. კლარკმა კონტაქტი დაამყარა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპეციალური დესპანი ახორციელებს „სხვადასხვა ინიციატივას“, რათა მიაღწიოს ამერიკელთა განთავისუფლებას, და რომ მას მიცემული აქვს მითითებანი გამართოს მოლაპარაკება ინათთან, ვისთანაც იგი მიიჩნევს საჭიროდ, რათა უზრუნველყოს მძევლების განთავისუფლება.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების თთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეუწყვეტოს ირანს შაჰის დროს შესყიდული სამხედრო მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების მიწოდება, სანამ ამერიკელ მძევლებს გაათავისუფლებდნენ. სააგენტომ დააზუსტა, რომ საქმე ეხება სამხედრო მიწოდებას 300 მილიონი დოლარის ოდენობით, რომელიც ირანმა უკვე გადაუხადა შეერთებულ შტატებს.

# „სახიფათო შეცდომა“

**ვაშინგტონი,** 10 ნოემბერი. ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო დაცვის სარდლობის შტაბ-ბინის კომპიუტერის გამოცდის დროს კოლორადოს შტატში ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მთელმა რიგმა საკომანდო ცენტრებმა მიიღეს განგაშის სიგნალი, რომელიც იუწყებოდა „ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმას“. ორეგონის, მიჩიგანისა და ბრიტანეთის კოლუმბიის ბაზებიდან დაუყოვნებლივ აფრინდა 10 ამერიკული და კანადური დამჭერი თვითმფრინავი, რომლებიც „შემოჭრილი ბომბდამშენების“ ძებნას შეუდგნენ.

მხოლოდ ექვსი წუთის შემდეგ მიხვდა საჰაერო დაცვის სარდლობა, რომ შეცდომა მოუვიდა და არავითარი თავდასხმა არ ყოფილა. როგორც მოგვიანებით განმარტა პენტაგონმა, განგაში მცდარი გამოდგა და იგი გამოიწვია ადრეული გაფრთხილების სისტემის კომპიუტერის „მექანიკურმა უწესივრობამ“.

ძალიანაც ეცადა პენტაგონის წარმომადგენელი, მაგრამ კორესპონდენტებმა არ დაუჯერეს. იუწყება რა ამ ინციდენტის შესახებ, პრესა აღნიშნავს, რომ ამგვარ „შეცდომას“ შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოჰყვეს. ძნელია წარმოიდგინო ასეთ შემთხვევაში რა შედეგი მოჰყვება „კომპიუტერის“ შეცდომას მთელი მსოფლიოსათვის.

# „ტორპედოს“ გამარჯვება

„ტორპედომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მეჭედლიძე, გვაძაბია, ოქროპირაშვილი, გოგოლაძე, მელიქია, სვანაძე, ბურკაძე, გორგოძე, კვერნაძე (კერესელიძე), ებანოიძე, შელია.

**ო. ცხადაძე.**

# ქ. ტყაბლაძე



გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1943 წლიდან სკკპ წევრი კონსტანტინე ესტატეს ძე **ტყაბლაძე.**

იგი დაიბადა 1910 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ყუმისთავში. 1936 წელს დამთავრა ქუთაისის ულუჯიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ამავე დროს მუშაობდა საშუალო სკოლის დირექტორად, შემდეგ — ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტში განყოფილების გამგედ.

1939 წელს კ. ტყაბლაძე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. 1940 წელს იგი ამთავრებს ქ. სარატოვში სამხედრო სკოლას და ინიშნება უმცროს მეთაურად. იგი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მისი მონაწილეა და მეთაურობს ტანკსაწინააღმდეგო ოცეულს.

1943 წელს კ. ტყაბლაძე მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენით დაჯილდოვდა. 1943 წლის ბოლოს კი მდინარე დნეპრის გადალახვისა და მის გარშემო პლაცდარმის შექმნისათვის მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დემობილიზაციის შემდეგ კ. ტყაბლაძე კვლავ ქუთაისშია და მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კ. ტყაბლაძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და მედლებით.

კეთილსინდისიერი, უნარიანი მუშაკისა და პრინციპული კომუნისტის კ. ტყაბლაძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

**საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექცია.**

**გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 12 ნოემბერს.**


**რედაქტორი**

**გ. ბედინეიშვილი.**


# „ყარაბაღი“



# „ტელევიზია“

## 11 ნოემბერი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — „ბეტიალა“ — თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლი (ფ.), 18.40 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19 10 — კინონარკვევი, 19.20 — „პარტიული ცხოვრება“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „მწვერვალი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მინსკის „დინამო“ — თბილისის „დინამო“.

11 ნოემბრის მაგჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

**მეორე პროგრამით:** 16.05 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია (ფ.), 16.50 — განცხადებები (ფ.), 16.55 — საგეელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ოთარი დათვიანის „ბანიკი“, ხოლო მეორემ ლისაბონში ფრედ — 1:1 ითამაშა პორტუგალიის „ბოავისტამთან“. ორივე საბჭოთა გუნდი გათამაშების შემდგომ ეტაპში გავიდა. **ახლა კიევის „დინამო“ მეოთხედფინალში იასპარეზებს სოფიის „ლოკომოტივთან“.**

სხვა მატჩებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო უეფას ტურნირში საფრანგეთის „სენტ-ეტიენის“ შეხვედრა ჰოლანდიის ძლიერ გუნდთან „ეინდჰოვენთან“. ფრანგებმა სტუმრად დამარცხებისათვის (0:2) დამაჯერებელი რეგანში აიღეს — 6:0.

# „ტელევიზია“

## 11 ნოემბერი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — „ბეტიალა“ — თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლი (ფ.), 18.40 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19 10 — კინონარკვევი, 19.20 — „პარტიული ცხოვრება“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „მწვერვალი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მინსკის „დინამო“ — თბილისის „დინამო“.

11 ნოემბრის მაგჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

**მეორე პროგრამით:** 16.05 — მოსწავლეთათვის. საქ